პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 3 (3487)

6

1968 წ. იანვარი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ტურიზმის სიახლენი

ზამთრის სეზონში

ზამთარია, მაგრამ თბილისისა და დიდმის ტურისტულ ბაზებს სტუმარი არ აკლიათ. საქართველოში თითქმის ყოველდღე ჩამოდიან ჯგუფები, რომლებიც საკავშირო ტურისტული მარშრუტით მოგზაურობენ.

საქმე თავსაყრელი აქვთ ეუთაისის, ციხისძირის, მწვანე კონცხის, ბათუმის, ფოთის, სოხუმის, ახალი ათონის, გაგრის ტურისტულ ბაზებს. განსაკუთრებით ბევრი სტუმარი ჰყავს კურორტ ბიჭვინთას.

ხანდაზმულები სიამოვნებით ისვენებენ ტურისტულ ბაზებში რადიალური საგზურებით.

ზამთრის სეზონში საქართველოს ტურისტული ბაზები დაახლოებით 30 ათას კაცს მოემსახურებიან.

საზღვაო მოგზაურობანი

შავი ზღვის სამოქალაქო ფლოტის ფლაგმანი — თბომავალი „ივან ფრანკო“ იანვარში სოხუმიდან დაადგება შორეულ გზას. მის კაიუტებში მოთავსდება 700 ტურისტი, რომლებიც 15 დღის განმავლობაში იმოგზაურებენ წარმტაცი მარშრუტით: სოჩი—იალტა—სევასტოპოლი—ოდესა. შემდეგ მოგზაურები ინახულებენ რუმინეთის ნავსადგური კონსტანცას, ბულგარეთის ნავსადგურებს ვარნასა და ბურგასს.

საკავშირო სემინარი

სოხუმში ათ დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის ტურისტული ბაზების დირექტორების სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები და მოხსენებები მასობრივი ტურიზმის განვითარების აქტუალურ პრობლემებზე, ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს, ეწვივნენ აფხაზეთის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

47 ათასი მანეთი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა 47 ათასი მანეთი გამოყო საქალაქო და რაიონული ტურისტული კლუბებისთვის — მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისთვის, მასობრივი ტურიზმის ხელმძღვანელი კადრების მომზადებისთვის, ტურისტული აღჭურვილობის გამჭირავებელი ახალი პუნქტების მოწყობისთვის.

(საქდესი).

სპორტული სვეტი

◆ **ბონი**, 5 იანვარი. კარგად დაიწყო სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი საბჭოთა გუნდმა: „ბურევესტნიკის“ ნაკრებმა ანგარიშით 28:6 დაამარცხა ბოლანდიელები. I ჯგუფის სხვა მატჩში ჩეხოსლოვაკიელმა ვაუებმა ფარ-ხმალი დააყრევინეს ფინელებს — 28:17. სულ ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში ასპარეზობს 16 გუნდი, რომლებიც ოთხ ჯგუფად არიან დაყოფილი.

◆ **ჰინდელანგი**, 5 იანვარი. შვეიცარიელმა ინჟინერ-ელექტრიკოსმა, 24 წლის ედმუნდ ბრიუგმანმა გიგანტურ სლალომში „ვერცხლის ნაძვის“ პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში აჯობა „მსოფლიოს სამთომოთხილამურეთა მეფეს“ ჟან-კლოდ კილის (საფრანგეთი). ბავარიის ალპებში მიმდინარე ეს ტურნირი წლეულს პირველია, რომელიც „მსოფლიოს თასის“ ჩათვლაში შედის. ამიტომაა, რომ აქ თავი მოიყარა სამთოსათხილამურო სპორტის ნაღებმა, გრენობლის ოლიმპიადის მედლების ყველა პრეტენდენტმა. მეტოქეები გიგანტური სლალომის 1200-მეტრიან ტრასას (სიმაღლეთა სხვაობა — 450 მ, 62 კარი) ორჯერ „დაეჭიდნენ“ (გრენობლშიც ასე იქნება). და ორივეჯერ იმარჯვა შვეიცარიელმა. კილიმ ორი ცდის ჯამში II ადგილი დაიკავა.

◆ **ტუნისი**, 5 იანვარი. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი მ. გამუდი ახალი ოლიმპიური სეზონისთვის საკროსო დისტანციებზე ემზადება. 50 ათასი მაყურებელი მხურვალედ მიესალმა თანამემამულეს, რომელმაც ტუნისის შემოგარენში გამართული საერთაშორისო კროსი მოიგო (7,5 კმ — 20.23,0).

◆ **სან-პაულუ**, 5 იანვარი. ადგილობრივ „პაკამბუს“ სტადიონზე გაიმართა 1968 წლის პირველი საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში. ამასწინანდელი „სან-სილვესტრეს კორიდის“ მონაწილენი 10-კილომეტრიანი რბენის სტარტზე გამოვიდნენ. ყველას აჯობა ინგლისელმა ტ. ჯონსტონმა, რომელმაც ზამთრისთვის საკმაოდ კარგი დრო აჩვენა — 29.01,7. „კორიდაში“ გამარჯვებულმა გ. რულანტსმა (ბელგია) დისტანცია ვერც კი დაამთავრა. სიტყვამ მოიტანა: ჯონსტონმა სტადიონის რეკორდიც გაუმჯობესა, რომელიც რულანტსს ეკუთვნოდა (29.46,1).

◆ **ჰასტინგსი**, 5 იანვარი. მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის ბოლო ტურის წინ ერთბამად 3 სპორტსმენი ლიდერობს: შტეინი, სუეტინი და რუმინელი გეორგიუ. თვითეულს 5,5 ქულა აქვს. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება ჩეხოსლოვაკიელი ჰორტი.

◆ **ვინიპეგი**, 5 იანვარი. აქ გაიმართა ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირის მორიგი მატჩი. მასპინძლებმა — კანადელებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს შვეიცარიელებს — 5:4.

ჯეარი ჯეგეგი

● **ვინიპეგი**, 4 იანვარი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები ერთპიროვნული ლიდერი გახდა აქ მიმდინარე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის მეორე ტურის შემდეგ. 10.000 მაყურებლის თვალწინ მან მოუგო კანადის ნაკრებს — 5:1.

● **ჰელსინკი**, 4 იანვარი. იუნიორ ჰოკეისტთა I ევროპულ ჩემპიონატში იმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა, რომლებმაც დასკვნით მატჩში დაამარცხეს შვეიცელი თანატოლები — 5 : 2. ასეთივე ანგარიშით საბჭოთა ჰოკეისტებმა მოუგეს ფინელებს და საბოლოოდ II ადგილზე გავიდნენ (4 მოგება და 1 წაგება ჩემპიონებთან). მომდევნო ადგილებზე არიან შვეიცის, ფინეთის, პოლონეთისა და გდრ-ის გუნდები.

● **ჰასტინგსი**, 4 იანვარი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 7 ტურის შემდეგ 5-5 ქულით ლიდერობენ ფ. გეორგიუ (რუმინეთი) და ა. სუეტინი (სსრ კავშირი). საბჭოთა დიდოსტატმა ბოლო 2 შეხვედრა ინგლისელებს უ. ჰარსტონსა და რ. კინს მოუგო. III-IV ადგილებზე არიან ლ. შტეინი (სსრ კავშირი) და ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — 4,5-4,5.

● **ბრონინგენი**, 4 იანვარი. ჭაბუკ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში 3 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს მასპინძელი ი. ტიმანი — 3. ტულელ ა. კარპოვს 1,5 ქულა აქვს.

● **ბუდაპეშტი**, 4 იანვარი. აქ დამთავრდა უნგრეთის საჭადრაკო ჩემპიონატი. უძლიერესის სახელი მერვედ დაისაკუთრა დიდოსტატმა ლ. საბომ, რომელსაც, სხვათა შორის, შარშან 50 წელი შეუსრულდა.

● **პოსკრესენსკი**, 5 იანვარი. მოსკოვის ოლქის ამ ქალაქის შესანიშნავ სპორტის სასახლეში მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. წყვილთა სრიალში სსრ კავშირის ჩემპიონები მეექვსედ გახდნენ ლენინგრადელები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი — 247,1 ქულა. II ადგილზე გავიდნენ მათი თანაკელაქელები თ. მოსკვინა და ა. მიშინი — 238,2 ქულა. ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ მოსკოველები ი. როდნინა და ა. ულანოვი — 230,0 ქულა. სპორტულ ცეკვებში ოქროს მედლები მოიხვეჭეს მოსკოველებმა ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა.

ნონა გაფრინდაშვილი — მეექვსე

ბერლინი, 4 იანვარი. აქ დამთავრდა ვაუთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 10 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა საბჭოთა დიდოსტატმა ე. გელერმა—7,5, II ადგილზეა ოსტატი ს. მარტენსი (შვეცია) — 7, ხოლო III — მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილი—6.

ეპატიჟებათ სოფია

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ მიიღო ბულგარეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წერილი, რომელშიც ბულგარელები სოფიაში სათამაშოდ ეპატიჟებიან მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის მონაწილეებს ტალსა და გლიგორიჩს. წერილში ნათქვამია: „კარგი იქნება, თუ მატჩი მარტ-აპრილში მოეწყობაო.

კალათბურთელთა ზონალური...

ფოთი, 5 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ დაიწყო 1950-51 წლებში დაბადებულ ჭაბუკებისა და გოგონების საკავშირო ზონალური შეჯიბრება კალათბურთში. ასპარეზობენ საქართველოს (თბილისის განათლების განყოფილების), აზერბაიჯანის, მოლდავეთის, უკრაინის II და რსფსრ-ს II გუნდები (არ ჩამოვიდნენ სომხეთის კოლექტივები).

მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: **გოგონები**. I ტური. მოლდავეთი — აზერბაიჯანი 49:47, საქართველო — რსფსრ II 52:44; II ტური. რსფსრ II — მოლდავეთი 54:50, უკრაინა II — აზერბაიჯანი 48:47. **ჭაბუკები**. I ტური. აზერბაიჯანი — მოლდავეთი 64:53, საქართველო — რსფსრ II 62:51; II ტური. რსფსრ II — მოლდავეთი 57:33.

ა. ლომაია.

პირველ ვარჯიშზე



გუშინ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა დაიწყო სამზადისი წლეულანდელი სეზონისთვის. დიდმის საწვრთნელ ბაზაზე მისი პირველი ვარჯიში ძალიან ინტენსიურად წარიმართა.

ამ სურათებზე სწორედ ჩვენი ფეხბურთელების პირველი საწვრთნელი მეცადინეობის მომენტებია აღბეჭდილი. მარცხნივ — სპორტის ოსტატი ი. ოგანოვი (მარცხნიდან მესამე) დინამოელებს საერთო ფიზიკურ მომზადებაში ამეცადინებს; მარჯვნივ — დინამოელები წვრთნის დამთავრებისას.

ზედა ფოტოზე თქვენ ხედავთ (მარჯვნიდან მარცხნივ) გუნდის უფროს მწვრთნელს ვ. სოლოვიოვს და მის თანაშემწეებს ვ. ბარქაიაია და გ. ჩოხელს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



...სასიხარულოა

ამ რამდენიმე ხნის წინ თბილისში დამთავრდა ქალაქის თასის ტრადიციული გათამაშება ფიგურულ ციგურაობაში. წინა გათამაშებაში 42 სპორტსმენი მონაწილეობდა, ახლა კი მათი რიცხვი 65-მდე გაიზარდა. თბილისელმა ფიგურისტებმა ამ ტურნირით გახსნეს სპორტული სეზონი, რომელიც მათთვის წლეულს განსაკუთრებით მრავალფეროვანია: საქართველოს მოსწავლეთა და მოზრდილთა პირველობა, მოზარდთა ზამთრის საკავშირო სპარტაკიადა, სსრ კავშირის გუნდური შეჯიბრება და სხვ. ბოლოს, შუა ივნისში გაიმართება თბილისის ჩემპიონატი.

გარდამავალი თასისთვის ბრძოლა ამჯერადაც თავიდანვე მწვავედ წარიმართა. პრიზის ძველმა მფლობელმა, 128-ე სკოლის მოსწავლემ ვალინა ხაჩატუროვამ წლეულსაც ყველაზე უკეთ ჩაბარა გამოცდა და ჯილდო შეინარჩუნა. ვაჟებში პირველი იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის მეორეკურსელი ირაკლი ჯაფარიძე. სპორტულ ცეკვებში ბადალი არ ჰყოლიათ მარინე ჯაიანსა და ვლადიმერ თავაძეს.

საქართველოს ტელევიზიის სპეციალური პრიზი მიეკუთვნა 9 წლის ქეთინო გუჯაბიძეს.

შესვენების დროს მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიგურული ციგურაობის მასწავლებელს, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ნ. ეროშენკოს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვა თბილისელ ფიგურისტებზე.

— თბილისელები განსაკუთრებით კარგად ასრულებენ ნებისმიერ ვარჯიშს, რომელიც შემოქმედებითად, უტრაფარეტოდ არის შედგენილი. კარგი ქორეოგრაფიული მომზადება, ეროვნული კოლორიტი ცალკეულ ნომრებში, შესრულების საკმაოდ მაღალი დონე — ყველაფერი ეს უურადსაღები და სასიხარულოა. მჯერა, რომ საქართველოს ფიგურისტების ოსტატობა საკავშირო სარბიელზე სათანადო მოწონებას ჰპოვებს.

საუბარში ჩაერია მოსკოვის „ბურევესტნიკის“ ფიგურული ციგურაობის ბავშვთა სპორტსკოლის უფროსი მწვრთნელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. კოჩეტოვი:

— მინდა დავსძინო, რომ მსაჯობა ასე კარგად მოწყობილ ტურნირში სასიამოვნოა. კარგია ისიც, რომ ტურნირი ტელევიზიით გადასცეს: ეს ხომ სპორტის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა. თბილისელი მსაჯების მომზადების დონე დასაწუნი როდია, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, რომ მათ გასვლით შეჯიბრებებში მსაჯობის საშუალებაც მისცემოდათ. ერთადერთი, რამაც ჩემზე უსიამო შთაბეჭდილება მოახდინა, გახლდათ ზოგიერთი მშობლის უადგილო ჩარევა მსაჯების საქმიანობაში. სპორტსმენის შედეგს ისე ვერავინ განსაზღვრავს, როგორც მსაჯი, მოსწავლის შესაძლებლობებს ისე არავინ იცნობს, როგორც მწვრთნელი. და აი, მწვრთნელები ჩუმად ისხდნენ, მშობლები კი... — აღარ დაამთავრა კოჩეტოვმა.

რადა გვეთქმოდა, სამართლიანი საყვედური იყო. საქმე ის გახლავთ, რომ შეჯიბრებაში ბოლო ადგილებზე გასული ბავშვები სკოლას ტოვებენ. ეს გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, ზოგიერთ მშობელს არ მოეწონა და აშკარად გამოხატა თავისი უკმაყოფილება.

ვ. იაშვილი.

• • •

ხურათზე: თბილისის 82-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი ვ. ბარიშვილი, რომელმაც მოიგო პირველობა მოზარდთა II თანრიგში.

ფოტო ე. ლიუბიმოვისა.

რაიონიდან ცოცხლად

✦ ზესტაფონი

აქ შეჯამდა რაიონის სასოფლო კლუბების კონკურს-დათვალიერების შედეგები. კონკურსში გაიმარჯვა პირველი სვირის სასოფლო კლუბმა (გამგე ჯ. გიორგაძე). სასოფლო საბჭოს დახმარებითა და საკუთარი ძალით მან მოაწყო ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი. აქვე ჩამოყალიბდა ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის, შაშისა და მაგიდის ჩოგბურთის სექციები. აქაურმა გუნდებმა შარშანდელ რაიონულ შეჯიბრებებში ბევრი საპრიზო ადგილი დაიკავეს.

გ. ალმასია.

✦ მესტია

გაიმართა მოთხილამურეთა რაიონული შეჯიბრება სეზონის გახსნის პრიზზე. ასპარეზობაში 70-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. პროგრამაში იყო სპეციალური და გიგანტური სლალომი, ხტომა, რბენა. გუნდური გამარჯვება მესტიის 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მესტიის მე-2 სკოლისა და მულახის ფიზკულტურელები.

ბ. მჭედლიანი,
მესტიის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

ბელუჯეწყოგით

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალგაზრდა სპორტსმენები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. შარშან ზესტაფონელებმა II ადგილი დაიკავეს საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა VI ტრადიციულ სპარტაკიადაში. განსაკუთრებით ისახელა თავი ფეხბურთელთა გუნდმა „მეტალურგმა“, რომელმაც II ადგილი დაისაკუთრა საქართველოს პირველობაში. მოჭადრაკეებმა რესპუბლიკური პროფსაბჭოს გარდამავალი თასი მოიპოვეს.

ქარხნის მესვეურნი ხელს უწყობენ ფიზკულტურელებს. ზესტაფონელი მეტალურგების განკარგულებაშია ფეხბურთის მინდორი, კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის მოედნები, საცურაო აუზი. კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები მოეწყო მუშათა დასახლებაშიც. ყველა საამქროს აქვს მარტივი ტიპის საკუთარი მოედანი.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

გუშინ

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ჩატარებული შაშში მსოფლიო პირველობაზე ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის IV პარტია. სამსაათიანი თამაშის დასასრულს, 44-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. ამრიგად, ორთაბრძოლის ანგარიშია 2:2. დღეს შედგება V პარტია. თეთრებით თამაშობს კუპერმანი.

ლ. კუბელის მემორიალის ლაურეატები

დიდი საბჭოთა საჭადრაკო კომპოზიტორის ლ. კუბელის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო კონკურსმა, რომელიც გაზეთ „ვეჩერნი ლენინგრადის“ რედაქციამ ჩაატარა, დიდი გამოხმაურება ჰპოვა მსოფლიოში. კონკურსის ჟიურიმ 400-ზე მეტი ამოცანა და ეტიუდი მიიღო სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, მონღოლეთის, იუგოსლავიის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის კომპოზიტორებისგან, რომლებიც კარგად არიან ცნობილი საჭადრაკო სამყაროში.

კონკურსში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპოზიტორებიც.

ამას წინათ ჟიურიმ გამოაქვეყნა კონკურსის შედეგები. მემორიალის ლაურეატებს შორის ჩვენებიც არიან: ცნობილი ეტიუდისტი, ოსტატი გ. ნადარეიშვილი, პრობლემისტები, რ. თავარიანი (ორივე—თბილისი) და გ. კუთარაშვილი (გორის რაიონი, სოფ. ახალსოფელი).

დასრულებული მხატვრული ტიპის შთაბეჭდილებას ტოვებს გ. ნადარეიშვილის ეტიუდი, რომელმაც ეტიუდების კონკურსში II პრიზი დაიმსახურა. მასში გონებამახვილურადაა ჩაქსოვილი თეთრი ეტლის დაცვითი შანევრები.

აი, ეტიუდიც:

გ. ნადარეიშვილი



თეთრები იწყებენ და ყაიმს აღწევენ

ეტიუდის ამოხსნაა: 1. g7+ მფg8 2. მg6! ლe8 3. ეd4 b5 4. ეd6 a2 5. ეb6 fg 6. ეe6 ლb8 7. ეe8+ ლ:e8 — პატ.

• • •

მრავალსვლიან ამოცანათა კონკურსში II პრიზი რ. თავარიანის ამოცანას მიეკუთვნა. ეს თბილისელი პრობლემისტის პირველი დიდი მიღწევაა.

ამოცანაში მოცემულია თეთრი ეტლისა და შავი ლაზიერის პრინციპული ბრძოლა, რომელშიც ეტლი იმარჯვებს.

რ. თავარიანი



შამათი შვიდ სვლაში

აი, ამოხსნა: 1. ეh1 ლa8! 2. ეg1 ლa7 3. ეf1 c6+ 4. მფg6 ლa6 5. ეg1! ან 3. ... ლa6 4. ეe1 ლe2 5. ე:e2 და შემდეგ 6. ეe1 და 7. ეa3×.

• • •

გორელი ზოოტექნიკოსი გ. კუთარაშვილი ახალგაზრდა პრობლემისტია. I სპატიო შეფასება, რომელიც მის ნამუშევარს ხვდა მრავალსვლიან ამოცანათა კონკურსში, უდავოდ თვალსაჩინო წარმატებაა. ამოცანაში მოცემულია შორეული უჯრის ბლოკირების თემა.

გ. კუთარაშვილი



შამათი ხუთ სვლაში

ამოცანა იხსნება მოულოდნელი მანევრით — 1. მფg1. შავი ფიგურები თავს ესხმიან თეთრ გვირგვინოსანს, მაგრამ... სჯობს გავეცნოთ შესაძლებელ ვარიანტებს:

I. 1. ...ლa7+ 2. მd4+ მფ:d4 3. ეc3+ მფc5 4. ლc4+. II. 1. ...ლg7+ 2. მg3+ მფd4 3. ლc4+ მფ:c5 4. ლ:e4+. III. 1. ...ეd4+ 2. მ:d4+ მფ:d4 3. ლa1+ მფd3 4. ლc3+.

თეთრი ოლიმპიადების

ოლიმპიური ცეცხლი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ინთება. და ოლიმპიური სეზონის გახსნა მუდამ მოიგუგურავებსა და ჰოკეისტებს, ფიგურისტებსა და მოთხილამურეებს ხვდებათ ხოლმე წილად. სპორტული ერთაბრძოლის სარბიელია ყინული და თოვლი.

რაგორც ცნობილია, 1956 წელს საბჭოთა სპორტსმენებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ზამთრის VII ოლიმპიურ თამაშებში: კორტინა დ' ამპეცოში ჩვენებმა დიდი წარმატება მოიპოვეს.

თეთრ ოლიმპიადას სამმა ქვეყანამ მიუძღვნა საფოსტო ნიშნები. პირველ ყოვლისა, ეს იყო იტალია, რომელსაც იმ დროისთვის სპორტულ თემებზე საფოსტო ნიშნების გამოშვების დიდი გამოცდილება ჰქონდა. პირველი ოლიმპიური საფოსტო ნიშნები იტალიელებმა მიუძღვნეს თავიანთ სპორტნაგებობებს: ალპენიში უდიდეს ტრამპლინს „იტალიას“, სათხილამურო სტადიონს, მიზურინის ტბის საცეგურაოს და ჰოკეის სტადიონს.

ტრამპლინი „იტალია“ საფოსტო ნიშანზე აღბეჭდა მონაკოს საფოსტო უწყებამ. ზამთრის VII ოლიმპიადისადმი მიძღვნილი ეს ერთადერთი მინიატურა გამოუშვეს ოლიმპიადის დამთავრებიდან ორი თვის შემდეგ. ორიგინალურადაა შესრულებული სან-მარინოს საფოსტო ნიშნებიც, რომლებზეც თავის დროზე ბევრი დიწერა.

უნდა ითქვას, რომ ზამთრის VII ოლიმპიადამდე საფოსტო ნიშნებს უშვებდა მხოლოდ თამაშების ორგანიზატორი ქვეყანა. ტრადიცია პირველად სან-მარინომ დაარღვია.

გავიდა ოთხი წელი. VIII თეთრი ოლიმპიადის მასპინძელი გახდა სიერა-ნევადას მთების რკალში მომწყვდეული ხეობა სკვო-ველი. ფილატელისტებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ — ალბომები ახალი სამახსოვრო საფოსტო ნიშნებით უნდა შეევსოთ. ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობა თეთრ ოლიმპიადაში პირველად აღნიშნა საბჭოთა ფოსტამაც. დიდი დიაპაზონი იყო განსაკუთრებული ღირსება სერიისა, რომელიც ხუთი ფართოფორმატიანი საფოსტო ნიშნისგან შედგებოდა (მხატვარი რ. ეიტკოვი). მინიატურები ეძღვნებოდა ზამთრის სპორტის ყველა მნიშვნელოვან სახეობას — ჰოკეის, ციგურაობას, სლალომს, ფიგურულ სრიალსა და ტრამპლინიდან ხტომას.

სკვო-ველის თამაშებს საფოსტო ნიშნები მიუძღვნეს სხვა ქვეყნებმაც. ზამთრის ოლიმპიადისთვის სპორტული საფოსტო ნიშნების პირველი სერია გამოუშვა აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკამ ტოგომ. მაგრამ აქ საქმე უკურიოზოდ არ დამთავრებულა. ერთ-ერთი საფოსტო ნიშანი ეძღვნებოდა ბობსლეის, რომელიც ოლიმპიურ პროგრამაში არ შედიოდა, მეორე საფოსტო ნიშანზე აღბეჭდილი იყო ჰოკეისტი მოედანზე, რომელსაც ბარიერი არ ჰქონდა, ორგვლივ კი თოვლის ბორცვები ჩანდა.

სულ 9 ქვეყანამ გამოუშვა 16 საფოსტო ნიშანი და აქედან 5 საბჭოთა ფოსტას ეკუთვნოდა.

1964 წელი ყველაზე უხვმოსავლიანი იყო კოლექციონერებისთვის. ზამთრის მორიგი, IX თამაშები ავსტრიის ალპებში— ინსბრუკში ტარდებოდა.

მატჩის მართი დღე

ლარბაზში სიჩუმეს დაუსადგურებია. სიღრმეში მაგიდას უსხედან ი. კუპერმანი და ა. ანდრეიკო. მარცხნივ მსაჯები — ფრანგი პ. ლიუკო, მოსკოველები ვ. ვინდერმანი და ვ. მიშკოვსკი სხედან. მარჯვნივ დემონსტრატორები მოკალათებულან. კედელზე ჰკიდია მსოფლიო პირველობის ემბლემა და ევროპრთველა სადემონსტრაციო დაფა.

ფოიეში შესვლისთანავე შაშის სამყაროში იგრძნობთ თავს. სპეციალურ სტენდზე გამოფენილია მატჩის მსვლელობის ამსახველი მასალები — ცხრილები, პრეს-ცენტრის ბიულეტენები.

თამაშის საყურებლად თბილისს ეწვივნენ გამოჩენილი მოშაშეები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, რიგიდან, კიევიდან, ტაშკენტიდან... მათ შორისაა, მაგალითად, საერთაშორისო ოსტატი ბ. შაიტანინი, მაღალი, სათვალიანი ახალგაზრდა კაცი. იგი წამით თუ აირბენს დარბაზში, სარბიელს რომ თვალი გადაავლოს, თორემ ისე თითქმის მთელ დღეს პრეს-ცენტრში ატარებს.

პრეს-ცენტრი მატჩის შტაბია. აქ მზადდება მასალები პრესისთვის, იქმნება საერთო აზრი მიმდინარე ბრძოლაზე. შტაბის მთავარი კონსულტანტია დიდოსტატი ვ. გოროდეცკი, ჟურნალისტი და მათემატიკოსი. პრეს-ცენტრის ბიულეტენი ერთ საღამოს სამჯერ ქვეყნდება. წკრიალებს ტელეფონის ზარი, რეკავენ მოსკოვიდან, კიევიდან, რიგიდან... „პრავდის“, „იზვესტიის“, „სოვეტსკი სპორტის“, „რადიოსკი უკრაინას“, „ცინიას“ და სხვა რედაქციები ახალ-ახალ ცნობებს ითხოვენ.

ცნობილი ოსტატები შაშის მოყვარულებისთვის თითქმის ყოველ საღამოს ატარებენ ერთდროული თამაშის სეანსებს.

ვესტუმროთ ბრძოლის სარბიელს. მაყურებლები ინტერესით შეიქერიან სადემონსტრაციო დაფას. აქ არიან თბილისელი ოსტატები თ. ბარამიძე, ს. პაპლაჯიანი, გ. ჩატულიდი, აქ არის ბევრი ჩვენი სტუმარიც. მათგან ყველაზე მეტად, ალბათ, მსოფლიო ჩემპიონის ქალიშვილი, 18 წლის სტუდენტი ელა კუპერმანი ღელავს.

თუმცა ქომაგები არც ანდრეიკოს აკლია: მას მეგობრები ჩამოსულნენ რიგიდან...

საერთაშორისო შაშში მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის ბედი ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში წყდება.

თ. გიორგაძე.

ხკვიზიტო ბაკოთები

ი. კუპერმანი

ი. კუპერმანი დაიბადა 1922 წელს, კიევში. იგი სამთო ინჟინერია. შაშს ბავშვობიდან თამაშობს. ოსტატის წოდება მოიპოვა 1940 წელს, სამჯერ გახლდათ სსრ კავშირის ჩემპიონი რუსულ შაშში.

1953 წელს კუპერმანი დაეუფლა საერთაშორისო შაშს და დიდი წარმატებაც მოიპოვა ამ სახეობაში. იგი იყო სსრ კავშირის ჩემპიონი 1954, 1955, 1956, 1962 და 1967 წლებში.

1958 წელს კუპერმანს ჩვენს ქვეყანაში პირველს მიენიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება.

აი, კუპერმანის წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე:

1958 წ. პრეტენდენტთა ტურნირი ჰოლანდიაში	I
1958. მატჩი მსოფლიო ჩემპიონ მ. დელორიეხთან	11:9
1959. მატჩი პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულ ვან დეიკთან	13,5 : 6,5
1960. საერთაშორისო ტურნირი კიევში	I
1960. დიდი ოლიმპიური ტურნირი ჰოლანდიაში	III
1961. მატჩი მსოფლიო ჩემპიონ ვ. შჩოგოლევთან	11 : 9
1964. დიდი ოლიმპიური ტურნირი	II
1965. ევროპის თასის I გათამაშება	I
1965. მატჩი მსოფლიო ჩემპიონ ვ. შჩოგოლევთან	13 : 7
1967. IV ბრინტა (ვარსკვლავთა)-ტურნირი	III
1967. ევროპის თასის II გათამაშება	IV

მსოფლიო ჩემპიონის მწვრთნელია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ი. ბარსკი (ლენინგრადი).

ა. ანდრეიკო

ა. ანდრეიკო დაიბადა 1942 წელს, რიგაში. იგი სამხედრო მოსამსახურეა.

შაშის თამაში ანდრეიკომ რიგის პიონერთა სახახლეში დაიწყო. 1959 წელს მან უკვე ოსტატის, ხოლო 1966 წელს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მოიპოვა. მისი თვალსაჩინო წარმატებები 60-ან წლებში იწყება. 1961, 1965 და 1966 წლებში იგი სსრ კავშირის ჩემპიონია.

აი, ანდრეიკოს მიღწევები საერთაშორისო სარბიელზე:

1961 წ. საერთაშორისო ტურნირი იალტაში	II
1962. საერთაშორისო ტურნირი ბაკოში	I
1963. საერთაშორისო ტურნირი იალტაში	I
1964. საერთაშორისო ტურნირი იალტაში	I
1965. საერთაშორისო ტურნირი სოჭში	I
1966. საერთაშორისო ტურნირი სოხუმში	I
1966. პრეტენდენტთა ტურნირი ალეხინი (საფრანგეთი)	I
1967. IV ბრინტა-ტურნირი	I
1967. ევროპის თასის II გათამაშება	III
1967. საერთაშორისო ტურნირი ბათუმში	III

ა. ანდრეიკოს მწვრთნელია ოსტატობის კანდიდატი ბ. ფრეიდენფელდი (რიგა).

ფოსტა

ოლიმპიადის ორგანიზატორმა ქვეყანამ —ავსტრიამ გამოუშვა სერია, რომელშიც შვიდი საფოსტო ნიშანი შედიოდა. სსრ კავშირმა ოლიმპიადას ხუთი საფოსტო ნიშანი მიუძღვნა. სერია იხსნება მიკროპლაკატით, რომელზეც აღბეჭდილია სამი სიმბოლო — ოლიმპიური ცეცხლი, ფიფქი და ინსბრუკის ოლიმპიადის გერბი. დანარჩენ ნიშნებზე აღბეჭდილია ციგურაობა, ხათილამური რბოლა, ფიგურული სრიალი და ბიატლონისტთა შეჯიბრება. ჩვენი სპორტსმენების დიდი წარმატება საბჭოთა ფოსტამ აღნიშნა ორი დამატებითი საფოსტო ნიშნისა და ინსბრუკის სერიის ახალი ტირაჟის გამოშვებით.

ოლიმპიადა უყურადღებოდ არ დარჩენია ბევრ სხვა ქვეყანასაც. საკმარისია ითქვას, რომ ინსბრუკისა და ტოკიოს ოლიმპიადებს ათასზე მეტი საფოსტო ნიშანი მიუძღვნა 90 სახელმწიფომ. 1968 წელი ზამთრის X და ზაფხულის XIX ოლიმპიური თამაშების წელია. ჩვენი სპორტსმენები გულმოდგინედ ემზადებიან ამ შეჯიბრებებისთვის. სსრ კავშირმა უკვე გამოუშვა „ზამთრის“ საფოსტო ნიშნები, რომელთაგან ორს დღეს ვბეჭდავთ.

მაღე გრენობლში სტარტს აიღებს X თეთრი ოლიმპიადა. საპატიო კვარცხლბეკზე ავლენ უძლიერესნი, გამოაცხადებენ ჩემპიონთა ვინაობას... მერე ჩაქრება ოლიმპიური ცეცხლიც, მაგრამ ასპარეზობის ყოველი მონაწილისთვის იგი დარჩება მთელი დედამიწის სპორტსმენთა მეგობრობის სიმბოლოდ. ამას შეჯიბრების მონაწილეებს მოაგონებენ თეთრი ოლიმპიადის სუვენირებიც — ბევრი ქვეყნის საფოსტო ნიშნები.

ბ. ზამბახიძე.

თუთუ-ბაში

ასმათ დავითიშვილი

ნაწყვეტი წიგნიდან

იუსუფ (იური) მურზაევის სიტყვა, წარმოთქმული 46-ე მარშრუტის მონაწილე ტურისტთა წინაშე.

მთები მუდამ ატყვევებდნენ ადამიანის მზერასა და გონებას. ატყვევებდნენ არა მარტო იმით, რომ თავისთავად ძალზე მომხიბვლელნი არიან. არა, ადამიანს თანდაყოლილი ცოდნის წვადილი არ ასვენებს. სურს შეიტყოს ამ მთის შემდეგ რა არის, იმ მთის შემდეგ რა იქნება. შეიძლება სწორედ ამ ცოდნის წვადილმა ჩაუყარა საფუძველი სპორტის ისეთ თავისებურ, რომანტიზმითა და სილამაზით აღსავსე სახეობას, როგორიც მთამსვლელობაა. ოფიციალურად მთამსვლელობა გასული საუკუნის დასაწყისში აღიარეს, მაგრამ მას უთუოდ მაშინ ჩაეყარა საძირკველი, როცა ჩვენმა წინაპარმა ვერტიკალურ მდგომარეობას მიაღწია. ვინ იცის, რამდენი მოუჯადოებია მთების სილამაზეს, რამდენს დაუპყრია კიდეც დიდი სიმაღლე და უსახელოდ გამქრალა ამ ქვეყნიდან, რამდენი შეუტყუებიათ და სამუდამოდ დაუტოვებიათ ცივ სამარხულში ყინვარებსა და მწვერვალებს. ხანი გამოხდა. ტექნიკის განვითარებამ მთათა დაპყრობა გააადვილა და მთამსვლელობა სპორტის სახეობად დააკანონა. ერთი არ შეცვლილა მხოლოდ საუკუნეთა მანძილზე: ახლაც ისევე, როგორც მაშინ, მთამსვლელობას მაყურებელი არა ჰყავს. მთამსვლელები უმაყურებლოდ აკეთებენ იმ დიად საქმეს, რასაც სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი ჰქვია და რაც ადამიანს საკუთარი თავის წინაშე ამაღლებს. სპორტის არც ერთი სახეობა არ არის ისე სახიფათო, როგორც მთამსვლელობა. ერთი უბრალო შეცდომა, უსწოროდ გადადგმული ნაბიჯი, ერთი ზედმეტი მოძრაობა კაცს სიცოცხლის ფასად უჯდება. მაგრამ საკმარისია ერთხელ, მხოლოდ ერთხელ ეზიარო და უკვე ვეღარასოდეს მიატოვებ მთამსვლელობას. ამასთან, ვის არ ნახავთ მთამსვლელთა შორის: მხატვარს, კომპოზიტორს, მასწავლებელს, მეცნიერ-მუშაკს, ინჟინერს...

ხშირად მეკითხებიან, რა არის მთამსვლელობა, რა აიძულებს ადამიანს ამ საქმეს მიჰყვეს?

მორის ერცოგი, ლუსიენ დეგი, ნორგეი თენსინგი, „კლდის ვეფხვად“ ცნობილი მიხეილ ხერგიანი — ყველა სხვადასხვაგვარად უპასუხებს ამ კითხვას და ყველა თავისებურად ხსნის მას. ამას კი ყველა მათგანი გეტყვით: მთებისკენ ადამიანის სწრაფვა უძლეველია.

ვის რა იზიდავს მთაში... ზოგისთვის მთამსვლელობა მხოლოდ სპორტია, მეტი არაფერი, ზოგისთვის — ნებისყოფის გამოცდა, ძალზე იშვიათად — პატივმოყვარეობა. ზოგს მძლავრი განცდები იზიდავს, ზოგს სილამაზე — ბუნების განუმეორებელი, პირველქმნილი სილამაზე.

გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ მთამსვლელობა თანდათან იზღუდება. არა, კი არ კვდება, ერთფეროვანი ხდება. რამდენიმე წელიც და ჩვენში არ დარჩება მწვერვალი, რომელიც ყოველი მხრიდან არ იქნება დაპყრობილი. ალპები დიდი ხანია სასეირნო ადგილად გადააქციეს ევროპელებმა, ის ალპები, მთამსვლელობის დედა რომ გახდა. ჰიმალაიში დიდი ხანია დაეცა უკანასკნელი რვაათასიანი. დარჩა შვიდიათასიანი მწვერვალები, რვაათასიანთა სხვადასხვა მისასვლელი. მერე... მერე მთამსვლელობა იქცევა განვლილ გზათა გამეორებად, გამძლეობის, გმირობის გამოცდად. მარშრუტის სიახლე, პირველსვლის სიხარული კი დაიკარგება. სწორედ ამან გამოიწვია ალბათ ევროპაში კედლოვანი ასვლების წარმოშობა. სპორტის ეს სახეობა განსაკუთრებით განვითარდა ოცდაათიანი წლების დასასრულიდან, ამასთან, იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტექნიკის წინსვლასთან.

თუმცა ახლა ირკვევა, რომ არც კედლოვანი ასვლა გამოუგონიათ პირველად ევროპელებს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში დაარსდა იორდანიაში ქალაქი პეტრა. ხუთ საუკუნეს მშვენდებოდა ქალაქი. ჩვენი წელთაღრიცხვით 103 წელს რომაელებმა აიკლეს იგი და პეტრა სამუდამოდ ჩაკვდა. არც ისე დიდი ხნის წინ არქეოლოგებმა ურნას აკლდამა აღმოაჩინეს ნაპალაქარზე. იგი ოც მეტრზე იყო აღმართული და სამი ფანჯრით მთავრდებოდა. კარგა ხანს გაურკვეველი იყო, რა დანიშნულებას ასრულებდა ეს ფანჯრები — ჩვეულებრივი არქიტექტურული მორთულობა იყო, თუ აკლდამაში შესავალი. მოიწვიეს ცნობილი მთამსვლელი და კლდეზე მცოცველი ჯო ბრაუნი. მან გამოარკვია, რომ ფანჯრები სამ განცალკევებულ სამარხში შედიოდა. თვითეული სამარხში აკლდამა იყო. ჯო ბრაუნმა ჩვეული ოსტატობით მიაღწია ფანჯრებს და განცვიფრდა: სამივე აკლდამა გაძარცული დასდგა. როგორც გამოირკვა, აკლდამები უძველეს დროს გაეძარცვათ.

ბრაუნი თვლის, რომ ამ სიმაღლეზე ასვლა შეეძლო მხოლოდ გამოცდილ კლდეზე მცოცველს, რომელსაც უთუოდ ჰქონდა სპეციალური აღჭურვილობა.

ვინ იყო ის, ვინც ბრაუნზე ადრე ეტუშრა აკლდამას — ქურდი თუ გამოცდილი მცოცველი? უთუოდ ერთიც და მეორეც. ახლა თუ ისე, მისი სახელი ჩვენთვის უცნობია და ევროპელებს უფლება არა აქვთ თქვან, რომ კლდეზე ცოცვის წარმოშობა მათთან არის დაკავშირებული.

თუ საუკუნეების მიღმა საკმაოდ მიწიერი მისწრაფებანი ამოძრავებდათ კლდეზე მცოცველებს, მეოცე საუკუნეში ამ სახეობისადმი ინტერესი წმინდა სპორტული.

საბჭოურმა მთამსვლელობამ საქართველოში აიდგა ფეხი და სსრ კავშირში კედლოვანი ასვლის ფუძემდებლებადაც ქართველებს მიიჩნევენ. გბრიელ ხერგიანის ჯგუფმა გაბრიელ, ბესარიონ, ბექნუ ხერგიანების, მაქსიმე გვარლიანისა და ჭიჭიკო ჩართოლანის შემადგენლობით 1937 წელს სამხრეთ უშბაზე გადაიარა ახალი მარშრუტით, სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლით. ამ კედელს ახლა „გაბრიელის კედლად“ მოიხსენიებენ. საჭურველი არ ჰქონდათ. ხუთ დღეს ებრძოდნენ კლდეს, ამინდს, საკუთარ თავს და ეს ბრძოლა მათი გამარჯვებით დამთავრდა.

ხანი გამოხდა. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა მხოლოდ 1946 წელს მიაქცია ყურადღება კედლოვან ასვლას. ამ დროისთვის თითქმის ყველა მწვერვალი დაპყრობილი იყო და საბჭოური ალპინიზმი თავისებური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ამ წლიდან მოყოლებული იწყება მწვერვალი იერიში კედლოვან, მიუწვდომელ მხარეთა გავლით. გაბრიელ ხერგიანის ესტაფეტა ვ. აბალაკოვმა მიიღო და შუროვსკის პიკი დაიპყრო ჩრდილოდასავლეთის კედლის გავლით. შემდეგ კიზელმა, გარფმა, კუზმინმა, ტიხონრავოვმა, გუსაკმა და სხვებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს კედლოვან ასვლათა ისტორიაში.

მე წელია მხვდა ბედნიერება, რომ ძალიან რთულ კედლოვან ასვლაში მიმეღო მონაწილეობა.

ეს იყო 1956 წელს.

ოთხმა დავიპყარით თუთუ-ბაშის კედელი.

ვიდრე ამბავს დავიწყებდე, მინდა ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ მიხეილ ხერგიანზე.

სწორედ იმ ხანებში, ესე იგი, ორმოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში გამოჩნდა მიხეილ ხერგიანი სარბიელზე. მაშინ იგი სულ ბავშვი იყო, ყოველ შემთხვევაში, ალპინიზმისთვის. ჩვენ ერთად ვემზადებოდით ინსტრუქტორობისთვის ბანაკ „ჯაილიკში“. მაგრამ მე რომ მკითხოთ, მას მხოლოდ ფორმალურად სჭირდებოდა ჩვენთან ყოფნა. საკმარისი იყო გამოცდილ თვალს დაენახა ხერგიანის ასვლა და მყისვე იგრძნობდა, რომ ეს იყო ნამდვილი მთამსვლელი, მთების კედლების დასაპყრობად გაჩენილი კაცი.

არიან კარგი მთამსვლელები. არიან ჭკვიანად, ლამაზად მოსიარულე მთამსვლელები, არიან ამტანი, გამძლე მთამსვლელები. მიხეილ ხერგიანი ალპინისტისთვის საჭირო ყველა საუკეთესო თვისების სინთეზია.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ალპურ ბანაკ „მეტალურგის“ მთამსვლელთა ყურადღების ცენტრში თუთუ-ბუს ხეობა მოექცა. მას საოცრად ბევრი და საინტერესო მარშრუტი ჰქონდა, მაგრამ რატომღაც მანამდე მაინც ნაკლებად იყო შესწავლილი. 1953 წელს „მეტალურგის“ ალპინისტებმა ხუხოდოლის ხელმძღვანელობით აღმოაჩინეს უღელტეხილი, რომელსაც „საბჭოთა ალპინიზმის 30 წელი“ შეარქვეს. აქედან გაიხსნა გზა თუთუ-ხუს (კოჟახურის მდინარის) ულამაზეს ხეობაში, თუთუ-ხუს კეტავს ხეობის თავი თუთუ-ბაში, რომელიც 4400 მეტრზეა აღმართული. მისი ვერტიკალური კედელი 1500 მეტრისაა. ჩვენ, ინსტრუქტორები, უღელტეხილზე შევჩერდით. უნებლიედ მზერა გამეპარა კედლისკენ. ერთმა მკითხა, შეძლებდი თუ არა ამ კედლის დაპყრობასო? თითქოს თავისთავად წამომცდა: შეძლებდი, თუ ხერგიანი იკისრებდა ჯგუფის ხელმძღვანელობას-მეთქი.

მას შემდეგ უკვე აღარაფერზე შემეძლო ფიქრი. თვალწინ სულ ის კედელი მედგა, ასე ლამაზად რომ კეტავდა კოჟახურის ხეობას.

მაღე მივხვდი, რომ ეს ახირება არ იყო. ეს იყო დიდი სიყვარული კედლისადმი, დიდი სიყვარული მომავალი მარშრუტისადმი და... თავისებური აზარტი. ამის შემდეგ ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი, ვაკეთებდი მხოლოდ იმიტომ, რომ მომავალი ასვლისთვის მოვმზადებულიყავი ფიზიკურად და მორალურად.

ლაშქრობიდან დაბრუნებისთანავე მიშას მოველაპარაკე.

ან რა მოლაპარაკება უნდოდა! აბისთანა საქმეში მიშასთანა კაცი სხვა არ მოიძებნება. თავადაც რომ არ ხდომოდა კედლის დაპყრობა, ჩემი გულისთვის მოაწყობდა ასვლას. იმიტომ, რომ ჩვენ განსაკუთრებით გვიყვარდა ერთმანეთი, გვაერთიანებდა ერთხაირი აზრი ცხოვრებაზე, ახალგაზრდული უდარდელობა, საქმისადმი პატიოსანი დამოკიდებულება და მთების უსაზღვრო სიყვარული.

მთები იყო ჩვენთვის ყველაფერი. შეიძლება იმიტომაც გვიყვარდა ერთმანეთი, რომ ორივე მთების შვილი ვართ. მე გარეშის უღელტეხილის აქეთა მხარეს დავიბადე და გაგიზარდე, ის — გარეშის უღელტეხილის იქეთა მხარეს. მთების სიყვარული სისხლში გვქონდა გამჯდარი. და თუკი გადავწყვეტდით, რომ ასვლა მოგვეწყო, არ იყო ძალა, რომელიც შეგვაჩერებდა.

(გაგრძელება იქნება)

ნახ. გ. იაშვილისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადმინტონის თბილისელმა მოყვარულებმა გაიხარეს: 4-18 სექტემბერს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართება საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი ამ სახეობაში. სურათზე თქვენ სწორედ ბადმინტონში ასპარეზობის ერთ მომენტს ხედავთ.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

„მადლობა სიამოვნებისთვის“

„სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი: **ტურნეს რომელი მატჩი იყო ყველაზე საინტერესო და ჯაუის სასწავლებელი?**

მ. იაკუშინი: **ინგლისთან. ცუდი ამინდის მიუხედავად, თამაში იყო შინაარსიანი და სწრაფი.**

ა. რამსეი: **ეს იყო კარგი მატჩი და თუ გავითვალისწინებთ მინდვრის მდგომარეობას, ორივე გუნდი ქების ღირსია.**

ინგლისისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდების მატჩი, რომელმაც ამ სახეობის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ისტორიის საკუთრება გახდა, მაგრამ მსოფლიო პრესა დღესაც წერს ამ შეხვედრაზე.

ამ დღეებში ინგლისიდან დაბრუნდა თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი ა. ბურჯულაძე, რომელიც სპეციალისტთა გაცვლა-გამოცვლის პროგრამით მივლინებულია ლონდონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში და საახალწლო არდადეგების დროს სამშობლოში ჩამოვიდა. იგი იმდენად გაახარა ლონდონში თანამემამულეთა ჩასვლამ, რომ ჩვენი ფეხბურთელების მეგზური და თარჯიმანი გახდა. „ლელოს“ კორესპონდენტი ესაუბრა ბურჯულაძეს, რომელმაც მოგვითხრა:

— რა დღიდანაც მატჩის ჩატარების თარიღი გამოცხადდა, შეხვედრის ორგანიზატორები ვერ აუდიოდნენ ბილეთებით გულშემატკივართა დაკმაყოფილებას. შეხვედრამდე ორი თვით ადრე „უემბლიზე“ დასაჯდომი კი არა, ფეხზე დასადგომი ყველა ადგილიც კი გაყიდულიყო. მატჩის შედეგებზე ადგილობრივი პრესა წინასწარ ბევრს წერდა. უპირატესობას, რასაკვირველია, მასპინძლებს ანიჭებდნენ იმ საბაბით, რომ ინგლისელებს ჩვენთან შეხვედრა ადრე დიდი ანგარიშით (5:0) ჰქონდათ მოგებული.

ჩვენს ფეხბურთელებს აეროდრომზე დავხვდი. აქედან ავტობუსმა გეზი სასტუმრო „როიალ გარდენ ოტელისკენ“ აიღო. ინგლისური პრესის ოპტიმისტურმა განწყობილებამ ცოტა არ იყოს იმოქმედა საბჭოთა გუნდის მოთამაშეებზე. შეხვედრის წინა დღეს გურამ ცოცვრებოვს, მაგალითად, სიცხეც კი მისცა. არც მისი თანაგუნდელები იყვნენ მაინცდამაინც კარგ გუნებაზე.

დადგა 6 დეკემბერი — მატჩის დღე. მაგრამ ამინდმა უმუხთლა როგორც ფეხბურთელებს, ისე მაყურებლებს: „უემბლის“ მწვანე მინდორი თოვლმა დაფარა.

ასე იყო თუ ისე, მატჩის დაწყების დროც მოახლოვდა და სასტუმროდან „უემბლისკენ“ გავეშურეთ. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელს მ. იაკუშინს უკვე ნათქვამი ჰქონდა ვინ გამოვიდოდა „უემბლის“ მინდორზე. მაგრამ საქმეში ჩაუხედავი კაცეც იოლად მიხვდებოდა, ვის უნდა დაეცვა იმ დღეს საბჭოთა ფეხბურთის ღირსება: სტრელცოვი გამუდმებით თამბაქოს აბოლებდა, ხურცილავას ავტობუსის ფანჯარაზე მიედო ლოყა და ჩაფიქრებულიყო. მხიარულ გუნებაზე იყვნენ კოტრიკაძე, კავაზაშვილი. სამაგიეროდ, პშენიჩნიკოვს ეტყობოდა უგუნებობა... ცხოვრებოვს სიცხემ გაუარა და ხუმრობის გუნებაზე იყო.

...და აი, „უემბლიზე“ ვართ. ჩვენმა ბიჭებმა თამაშისთვის მზადება დაიწყეს. მოპირდაპირე ოთახში ინგლისელი ფეხბურთელები იცვამდნენ. ერთი სული მქონდა მათთან შევსულიყავი, მაგრამ მასპინძლებთან ბუზიც კი ვერ შეფრინდებოდა. მსოფლიო ჩემპიონების ერთ-ერთ „დარაჯს“ ჩემი სურვილი გავანდე. იგი გასახდელში შევიდა, სერ ალფ რამსეის რაღაც უთხრა და ოთახში მიმიპატიჟა.

— მხოლოდ 5 წუთი! არც მეტი, არც ნაკლები, — შესვლისთანავე მომაძახა მსოფლიო ჩემპიონთა მწვრთნელმა.

— რადგან ასეთი მცირე დრო მომეცით, მაშინ დროს ნუ დაკარგავთ, თქვენით დავიწყოთ, —ვუპასუხე და პირველი ავტოგრაფიც მივიღე. მატჩის შედეგზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა, ფეხბურთელებმა ღიმილით გადმომხედეს. მათ სახეებზე გამარჯვების რწმენა ჩანდა.

შეხვედრის დაწყებამდე ჩვენი ბიჭების გასახდელში შემოიტანეს სპეციალურად კრაიტლაინისთვის დამზადებული ტყავის ვეებერთელა ბურთი, რომელზეც საბჭოთა ფეხბურთელებს თავიანთი გვარები უნდა წაეწერათ (კრაიტლაინისთვის ეს მატჩი ხომ ბოლო იყო!). პირველი ავტოგრაფი მ. იაკუშინმა გააკეთა და თან იხუმრა: თუ პატივცემულმა არბიტრმა კარგად არ იმსაჯა, აი, ამ დანით ავკუწავ ბურთსო.

მატჩის გახსენებით თავს არ შეგაწყენთ: იგი ფეხბურთის გულშემატკივრებმა ნახეს ტელევიზორის ეკრანებზე. შეხვედრა ამ დროს „უემბლიზე“ კარგა ხნის დამთავრებული იყო და ლონდონელი მოყვარულები მას ხელმეორედ უყურებდნენ. მაგრამ ინგლისურ ტელეგადაცემებში მხოლოდ მატჩის, ასე ვთქვათ, ძირითად დროს აჩვენებენ. და აი, „ძირითად დროში“ რატომღაც არ მოხვდა მასპინძელთა კართან დასაწყისშივე შექმნილი ერთი მომენტი: სტრელცოვი მეტოქეთა მცველებს გაუსხლტა და ბურთი კარში დაარტყა, როცა ბენქსი იქ უკვე აღარ იდგა. ერთ-ერთმა მცველმა ბურთი ხელით გამოიტანა კარიდან — კუთხურზე გაგზავნა და თავისი გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა. ნაღდი პენალტი იყო, მაგრამ მსჯავრმა ეს, ალბათ, ვერ შენიშნა. 11-მეტრიანის ნაცვლად კუთხური რომ დაინიშნა, მაყურებელმა სტვენა ასტეხა.

ეს შეხვედრა მსოფლიო სტადიონებზე იმ კვირას ჩატარებულ მატჩებში საუკეთესოდ შეაფასეს. მოეწონათ პშენიჩნიკოვის, ჩისლენკოს და, განსაკუთრებით, ხურცილავას თამაში. გაზეთ „დეილი მეილის“ სპორტული მიმომხილველი წერდა (ეს ცნობა საბჭოთა პრესაში არ გამოქვეყნებულა): „გარდა ბოლის, პიტერსისა და ჩისლენკოსი, რომლებმაც ბურთები გაიტანეს, შესანიშნავი იყო ხურცილავა. იგი შეუცდომლად თამაშობდა. არ მახსოვს, რომ ოდესმე „უემბლის“ ასეთი კარგი მცველი ენახოს“.

რამდენიმე დღის შემდეგ ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალური მადლობა გამოუცხადა ამ შეხვედრის მონაწილე ყველა ფეხბურთელს იმ სიამოვნებისთვის, რომელიც მათ მილიონობით მაყურებელს მიანიჭეს.



გთავაზობთ საბჭოთა გუნდის მასპინძლების — რამსეის, ბენქსის, ნოულზის, მალერის, მურის, ბოლის, ჰანტის, ბ. ჩარლტონის, პიტერსის, სადლერის, ჰერსტისა და უილსონის ავტოგრაფებს.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები...

საყოველთაო ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა იტალიის ჩემპიონატის დიდმნიშვნელოვანი მატჩი, რომლის მონაწილეები იყვნენ ეჩს-ჩემპიონი — მილანის „ინტერნაციონალე“ და ჩემპიონი — ტურინის „იუვენტუსი“. „ინტერმა“ ვერ გაუძლო მეტოქის ძლიერ იერიშებს და დამარცხდა — 2:3.

გათამაშებას ლიდერობს „მილანი“— 19 ქულა. მას 3 ქულით ჩამორჩებიან „რომა“ და „ვარეზე“. 15-15 ქულა აქვთ „ნაპოლის“, „ფიორენტინას“ და „იუვენტუსს“.

ინგლისის ჩემპიონატის ლიდერობა განიმტკიცა „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რომელმაც მძიმე ბრძოლაში დაამარცხა „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ და 35 ქულა დააგროვა. გამარჯვება მოიპოვა მეორე ლიდერმაც — „ლივერპულმა“ („კოვენტრისთან“ —1:0), რომელსაც 32 ქულა აქვს.

ლიდერებს დასცილდა „მანჩესტერ სიტი“. მან შინ წააგო „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ და 30 ქულა დარჩა.

ამას შემდეგ, რაც ლისაბონის „ბენფიკამ“ მარცხი იწვნია „სპორტინგთან“ შეხვედრაში (1:3), მას დაეწია „ოპორტო“. ორივე ლიდერს აქვს 18-18 ქულა, ხოლო „სპორტინგს“—1 ქულით ნაკლები.

ესპანეთში. მარცხიანად დამთავრდა მორიგი ტურის მატჩები ლიდერთათვის. მადრიდის გუნდებმა—„ატლეტიკომ“ და „რეალმა“ თითო ქულა დაკარგეს, ხოლო „ბარსელონამ“ წააგო კიდეც. მადრიდის „ატლეტიკოს“ ახლა 19 ქულა აქვს, ხოლო „რეალს“, „ბარსელონას“ და „ლას-პალმასს“ — 18-18.

„სელტიკი“—„გლაზგო რეინჯერსი“. ამ ორი გუნდის მატჩები შოტლანდიის საფეხბურთო ცხოვრების მთავარ მოვლენას წარმოადგენს. ჩემპიონატის განვლილ ტურში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს და ფრედ ითამაშეს — 2:2. ამის შედეგად „რეინჯერსმა“ შეინარჩუნა ლიდერობა (32 ქულა) და ისევ 2 ქულით უსწრებს „სელტიკს“. III და IV ადგილებზე მყოფი „ჰიბერნიენი“ და „ჰარტსი“ ლიდერს ზუსტად 10 ქულით ჩამორჩებიან.

ფეხბურთი

ჯერჯეროგით 3 ქულით

ლიმა, 4 იანვარი. აქ გრძელდება საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი, რომლის მორიგ ტურში სსრ კავშირის კლუბების ნაკრები შეხვდა ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიურ გუნდს. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

საბჭოთა გუნდი ახლა 3 ქულით III-IV ადგილებს იყოფს და წინა აქვს ბოლო მატჩი ტურნირის ლიდერთან — პერუს „სპორტინგ-კრისტალთან“ (5 ქულა).

ჰამრინი „ისვენებს“

იტალიაში მრავალი წლის თამაშის შემდეგ ცნობილი შვედი თავდამსხმელი კ. ჰამრინი პირველად მოექცა კრიტიკის ჭარცეცხლში. მართალია, მისი ახალი კლუბი „მილანი“ ახლა დიდი წარმატებით გამოდის იტალიის ჩემპიონატში, მაგრამ ეს, სპეციალისტთა აზრით, ჰამრინის დამსახურება როდია. იგი დამძიმდა, დაკარგა საბრძოლო თვისებები და 33 წლის ფეხბურთელს სულ უფრო ხშირად უხდება „დასვენება“. მწვრთნელი როკო მას ახალგაზრდა გარეშარპ პრატს ამჯობინებს.

მიმომხილველთა ერთი ნაწილი რწმენას გამოთქვამს, რომ ჰამრინის კრიზისი დროებითია, რომ იგი ვერ შეეგუა ახალ პარტნიორებს, მაგრამ უმეტესობა ამ აზრს არ ეთანხმება და ფიქრობს, რომ გამოჩენილი შვედი თავდამსხმელის კარიერა დასასრულს მიუახლოვდა.

მოკლედ

● **ლონდონი.** „საუთჰემპტონმა“ განაცხადა, რომ თანახმაა 125 ათას გირვანქა სტერლინგად გაყიდოს თავისი თავდამსხმელი ჩეიერსი. ასეთი თანხა დღემდე არც ერთ ინგლისელ ფეხბურთელში არ გადაუხდიათ.

● **სენტ-ეტიენი.** საფრანგეთის ერთ-ერთმა უძლიერესმა კლუბმა „სენტ-ეტიენმა“ მალის რესპუბლიკიდან ჩამოიყვანა ზანგი თავდამსხმელი დომინგო, რომლის თამაში საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. იგი 177 სმ სიმაღლისაა, 70 კგ-ს იწონის და 21 წლისაა. დომინგოს შესანიშნავი ტექნიკა აქვს, მეტად მოქნილია და ერთობ შედეგიანიც. ფრანგი მიმომხილველების აზრით, იგი „ახალი ეუსებიოა“.

● **ბაზელი.** შვეიცარიის ჩემპიონმა „ფკ ბაზელმა“ თავისებური რეკორდი დაამყარა. მას უკვე 2 წელია არ წაუგია არც ერთი მატჩი თავის მინდორზე. ამ ხნის განმავლობაში მან აქ ჩაატარა ეროვნული ჩემპიონატის 27 და 1 საერთაშორისო მატჩი.

● **გლაზგო.** შოტლანდიელი მიმომხილველები „ყველაზე უიღბლო თავდამსხმელად“ მიიჩნევენ „სელტიკის“ ცენტრფორვარდ მაკ-ბრაიდს. ადრე იგი თამაშობდა სხვადასხვა შოტლანდიურ და ინგლისურ კლუბებში, სადაც ბევრჯერ დაშავდა. ასეთივე ტრავმების გამო გამოტოვა მან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება, ხოლო როდესაც მომჯობინდა, მინდორზე დაჰყო სულ ...რამდენიმე წუთი. მძიმე ტრავმამ კვლავ კარგა ხნით გამოიყვანა მაკ-ბრაიდი მწყობრიდან.

რიერა ტოვებს „ბენფიკას“

ცნობილმა ჩილიელმა მწვრთნელმა ფ. რიერამ განაცხადა, რომ ხელშეკრულების დამთავრებისთანავე, 1968 წლის ივნისში, დატოვებს ლისაბონის „ბენფიკას“. იგი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, სადაც სათავეში ჩაუდგება „უნივერსიდად კათოლიკას“.

როგორც მიმომხილველები ფიქრობენ, ამ კლუბში მუშაობის დაწყებისთანავე რიერას ისევ შესთავაზებენ ჩილის ნაკრების ხელმძღვანელის პოსტს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრ. უკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14. 8 ფე 03107